

კვირა, 4 სექტემბერი, 1916 წ.

რედაქციის აღრიცხვა:  
თულისი, ოლდა ქუჩა, № 6.


— ფასი 15 გან. —

# მარტინი მარტინი

იუმორისტი:  
უურნალი

№ 36

„პრეზი მალ-მალან“



ხარფუხის კლუბმა გადასწყვიტა კვირაში ხუთჯერ მაინც დასდგას ოპერეტა „არშინ  
მალ-ალან“-ი, ვინაიდან ამ წარმოდგენის დროს კლუბში სრული სიშვიდე და წე-  
სიერება სუფეს ხოლმე...

## რედაქციისაგან

წელს შესრულდა ხუთმეტი წელიწადი, რაც მხვატარი ოსარ ივანეს და ჯვარისაგან ქართულ უურნალ-გაზეთებში დაიწყო მუშაობა. ამ 15 წლის მოლვაწეობის აღსანიშნავათ, შემდეგი ნომერი (37) „ეშმაკის მათრახისა“ გამოვა ძვირფასი მხატვრის პატივსაცემლად, მრავალის კარიკატურებით დასურათებული.

## პათილი და გოროტი

გუშინ საღამოს, როცა ელექტრონის სინათლეზე მწვანე პარკ-ლობის ვარჩევდი, ღრმათ ჩავფიქრდი.

რას არ მოესწორდა თურმე ლობით განა შეეძლოთ აიამ ლობის წინაპრებს, (რომელებიც, თუ გამყიდველს დავუჯერეთ, ქველის ქველათ გურიაში სცხოვრობდნენ,) რომ მათ გაარჩევდნენ ელექტრონის სინათლეზე? სად იყო უწინ ელექტრონი? იყო მზე და როცა...

ცხადია მე გუშინ საღამოს სწორეთ ამ მოვნებამ ჩამაგიქრა. მართალია საშინაო ვბრაზობდი, ვინაიდან ჩემს „გურულ ლობის“, წინააღმდეგ მოლოდინისა, კანაფის ძაფით მაგარი ლეჯი აღმოაჩნდა, რაც გამყიდველის პატიოსანი სიტყვის თანხმად არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ პატიოსანი სიტყვა რიღას პატიოსანი სიტყვა, თუ სიმართლე გამოდგება?

ჰო, მზე... აშეარაა „მზემ“ ჩამაგიქრა. მზემ განვლილი ზაფხული გამასხენა ;, „ზაფხულმა“ — ხოლერა... ხოლო „ხოლერამ“ ბინ გუბერნატორი და აქედან დაიბადასაკითხი: „კეთილისა და ბოროტის“ შესხებ.

სად იყო უწინ ხოლერა?

სად იყო უწინ გუბერნატორი?

მაგრამ კეთილი და ბოროტი დასაბამითგან არსებობდნენ და თავის არსებობას ერთი მეორის ბრძოლაში ატარებდნენ.

თქვენ არ გინახივართ მე როცა ღრმათ ჩაფიქრებას განვიცდი. ოოო, რა ამბავი, რა გაცხარებული ფაცა-ფუცა მაშინ ჩემს არსებაში. ჩვენს ცხოვრებაში ამ განსაციფრებელ საქმიანობას ვეპვობ ცალი მოვუპოვო, თუ „ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კაშირის“ გამგეობას არ გავიხსენდ.

მე თქვენ გიჩვენეთ გზა, რომელმაც მიმიუვანა ჩემი ფიქრების საგნამდე, მაგრამ თვით სავანი ჯერ ჯერობით მე თქვენთვის არ გამიმხელი. პატარა საკითხი მე ვერასოდეს ვერ ჩამაფიქრებს, დიდს კი არ შოვეშვები.

გინ უფრო ძლიერია:

ბოროტი, თუ კეთილი?

ხოლერა, თუ გუბერნატორი?

მე რასაცვირველია მესიამოვნება, თუ პირველობა „ბოროტების“ მხარეზე დარჩება, ვინაიდნ იგი მიზანია ჩვენი არსებობისა, მაგრამ მსჯელობის დროს მაინც მიუღიერები ვიქნები.

ავილოთ კონკრეტული მაგალითები:

ხოლერას შეუძლია გუბერნატორი მოსპოს,

გუბერნატორს არ შეუძლია ხოლერა მოსპოს.

ხოლერას შეუძლია ღორმულობა აღავმოს,

გუბერნატორს არ შეუძლია ღორმულობას რამე დაკლის.

მაშ გაუმარჯოს ბოროტება!

ხოლერას შეუძლია მყისვე წამოაყენოს „უფასო საჩიაბის“ საკითხი;

გუბერნატორი ამ საკითხში სრულიად უძლურია.

კვალიად იმარჯვებს ბოროტება!

ხოლერა აიძულებს ხალხს გადადულებული,

წმინდა, წყალი დალიოს...

გუბერნატორი მღვრიე წყალსაც საკმაოდ არ იძლევა.

Viv la Borotba!

რაც უმთავრესია, ხოლერას შეუძლია თვალ-

საჩინო სისუფთავე დამყაროს ქოლაქში.

გუბერნატორს კი ეს ეგრე რიგათ არ ეხერება.

— ჰოხ, ჰოხ, ბოროტება!

მე ვიცი, თქვენ, კეთილის მიმდევრები, შენიშვნათ:

განა არ გინახავს, როგორ ასუთავებენ დაბეგბა და სამაზრო ქალაქებს, როცა გუბერნატორის მობრძანებას ელოდებიანო.

თანახმა ვარ. მინახავს და ვიცი. ვიცი რომ

დაბა ქალაქებში გუბერნატორს შეუძლია ხოლო

რის მაგიერობა გასწიოს, მაგრამ იქ, სადაც გუბერნატორი მუდმივ სტანციონის და ხალხი მის ქეთილ სასიათთან შეჩერებულია, განა შეიძლება სისუფთავის დამყარება თუ ბ-ნი ხოლერა არ მობრანდა?

მოქალაქენო! გადახედეთ იმ სანაგვე ხევ-ხუვებს და ეზოებს, რომელთა დასუფთავებას დღეს ეგრე ენერგიულათ შეუდგენ ჩვენი ქალაქის მიმები! განა გუშინ არ ყარდა ის ნაგავთა სამეფო! განა მისი გასუფთავება გუშინ არ იყო საჭირო? განა „კეთილი“ (ჩვენი ტერმინოლოგიით) გუშინ ვერ ხედავდა ამ უსუფთაობას? მაშ რისთვის უცადეს ხოლერის მობრანდას?

იმიტომ, რომ ბორიტი კეთილზე უძლიერესია ხოლერა კი გუბერნატორზე.“

ლრმა ფიქრებს არასოდეს არ ჩაუცლია ჩემთვის დაუჯველათ გუშინ საღმოსაც ასე დამემართა.

როცა ფიქრებიდან გამოვერკვიე, შევნიშნე რომ გადანარჩევ უვარების ნაწილს გურული ლობიოსას თურმე ყაურმიან ქვაბში ყვრიდი, ხოლო საუკეთესოს კი სანაგავე კალათაში.

ეშვაკი.

## ეპოლიტიკია

უწინარეს, როცა იგი მესამე დასელთა გაზეთებს აქტრელებდა თავისს ნაწილოებს ქვეშ მუდამ ასე ეწერა „თ დ.“ მეითხველი, თუკი ასეთი გამოჩნდეს ბოდა, ამათ ცულობდა ამ ორ ასოს ქვეშე შეხიზნულ მწერლის გაროცნიბას.

მე არ ვიცი რა დავარქვა მისი მოღვაწეობია ხანას.

შემდეგ, როცა „თ. დ.“ წერილებს უღმერთო წურვა დაუწყეს და საჭირო დარჩა მისი ამ საქაჯავიდან გასელა, მწერალმა თავისს ნაწილოებს „თ. დლონტი“ მოაწერა. მასხსენს, ერთხელ მთელი საღამო ვარკვევდა, თუ რა უნდა რქმეოდა ბატონ ღლონტს: თეოფილე, თომა, თადეოზ, თინა, თეო, თენგიზ, თამარ, თევლე, თებრონე, თამაზ, თაყა, თარგამოს, თარხან, თათარხან, თუ სხვა რომელიმე სახელი, მაგრამ განა შეიძლება ამისი გამოცნიბა.

მხოლოდ მაშინ, როდესაც „თ. დლონტი“ „ეროვნულ მუშათა“ ბელადი შეიქნა, როდესაც მისი ნაწერები ორ ტოტათ გაიყო და „ზეირთ-სახალხოთა“ ეროვნულ საკითხს წალევას უპირებდა, მისი წე-

რილების ქვეშ აიხსნა ჩემი საიდუმლო და მე წავიკითხ „თევდორე დლონტი“.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ მის წერილებში მე მხოლოდ სათაურსა და ბოლოს ვკითხულობ, მაგრამ განა მარტო მე ვშევბი ამას?

გადაული „ზეირთს“ — თევდორე დლონტი  
გადაშლი „სახალხოს“ — თევდორე დლონტი!

მაგრამ სულ მალე ჩვენ კვლავ ცვლილებას ვხედავთ ამ ღირსეულ სახელში: „თევდორეს“ მაგივრათ აღნიშნულია „თედორე“. ცხადია „ვინ“ ი ზედ მეტი დარჩა და გარისხულ იქმნა.

ამ ხანებში მწერლის პოპულიარიზაციაშ ძლიერ იმატა, რასაც ხელი შეუწყო ჩვენს უურნალში მოთავსებულმა თელორეს სურათმა. მართალია მის წერილებს დღესაც არავინ არ კითხულობს, მაგრამ მისი სახელი ყველგან გაისმის. თუ არჩ. ჯავანაშევილი არჩ. ჯორჯაძის მეკვიდრეა, თედორე ღლონტი თამანად შეიძლება არჩ. ჯავანაშევილის გაგრძელებათ აღვიაროთ. „მეურნის“ გამგეობაში მისმა არჩევამ „ახალი კლუბის“ წევრთა შორის სახელი უფრო გაუხმაურა და აი,

მის უკანასკნელ წერილებზე აწერია არა „თედორე ღლონტი“, არამედ მოცეკვებით, სასიყვარულო გამოთქმით „თედო ღლონტი“.

ისტორიის განვითარებას წინ ვერავინ დაუდგება. ევოლუცია თავისი გზით მიმღინარეობს და ხალხის სიყვარული თავისას შევბა. თელაველ გლეხებს ლუკაშვილზე უკეთესი მოღვაწე ველარც წარმოუდგენიათ და რა გასაკვირია ქართველმა ერმა „თედო ღლონტს“ მომავალში გვარი სრულიად ჩამოიცალოს და სტროგოს მარტო „თედო“.

ჩვენს ისტორიას ახსნეს ასეთი მაგალითი, თორემ მე არ ვაკარდნიერდებოდი საალალბედოთ დამესვა კათხვა. თევენ ყველას გემასხვენებათ, რომ ჩვენ გვყავდა მგოსანი აკაკი წერეთელი. იგი იმდენათ ცნობილი შეიქნა ჩვენში, რომ მარტო სახელიც საქართვისი იყო მისთვის და ასეც შევბოდა: მის ლექსებს (წარმოიდგინეთ იმასაც, რომელიც ეკ. სარაჯიშევილის ნათლურსა და ივ. მაჩბლის შეილს ნიკოს წაუკითხავს და რომელიც მოავასებულია „საქართველოს“ დამატებაში) მარტო აკაკი ეწერა.

ჩვენ მალე დავინახავთ წერილებს რომელიც ბოლოზე ეწერება: „თედო“ მაგრამ არ ვიკითხავთ არც წერილს და არც მისი ავტორის ვინაობას იმდენათ ცნობილი იქნებიან ისინი.

აკაკი და თედო!

შოთარელი.

ବୁଦ୍ଧିମତ୍ତା ପରିଚୟ

სახელი იმა მხარისა  
სითაც შეე ჩაესვენება,  
კვრნებ თქვენთაგანს, მკითხველო,  
ცკელას კი მოქსენება.  
ჩვენ წარვიტაცოთ წინიდგან  
ოთხი ანბანი მისია,  
სხვა უკუვაგდოთ. (რათ გვინდა  
რაც ჩვენთვის უვარებისია.)  
ახლა რაც გვინდა, ის სიტყვა  
ყოველ წამს გვესმის ყურშია,  
როს ის ცხალდება გვიწვევენ —  
სამხედრო სამსახურშია.  
ნუ გავიჭირვებოთ ნურც ამით  
საჭმესა გაუჭირველისა,  
და მასაკ ისე მოვეცყრათ  
ვით მოვეცყარით პირველსა.  
ნაწილი ესე შარადის  
ისე მოებმის პირველსა  
როს ასოს, რიცხით მესამეს,  
მათ შეა მიესცემთ ბინასა.  
ახლა მოვნახოთ გაზეთი  
აღვსილი ღვთისა მადლითა,  
ორგანო ქართველ ვაჭრების  
ქართული ალბ-ადლითა.  
სადაც არიან ერთგულნი —  
„დამცველნი“ ქრისტეს მცნებისა,  
სადაც გაისმის დაღადი  
ქართველ ბერ მონაზნებისა.  
ვისაც სამშობლოს ბურჯობა  
მრავალგზის დაუკეცხნია,  
და ყოვლად შეუფერებლათ  
გამხდარა მის სენია.  
მასაც ვეძგეროთ წინიდან,  
როგორც გზზელი ქარია  
და ამოვაძრით კბილები  
ხუთხე ნაკლები ორია.  
აწ რენეული გვპირია,  
ნამღლისა ნათესავია  
მრავალსა ნორჩას მცნარეს  
მით დღე უდგება შავია.  
ამ სიტყვის წინა თანხმოვნის  
და ხმოვან ასოს შეუშია.

თუ ჩავსვავა ასოს მეათეს  
მოსავალია ჭკუაში.

ଦ୍ୱା ତୁ ଶବ୍ଦପୂର୍ବମୁଖ ନାହିଁଲେବୁ,  
କୁଳଗାସିରୁ ମାରାଇଲେ ଫୁଲେବୁ,  
ମୋହମ୍ମଦିତାକୁଣ୍ଡରୀବା ସାବଧାନ  
କାଳୁ କୁଣ୍ଡରୀ କୁଣ୍ଡରୀବୁ.

და იმა სახელს ვუწოდებ  
იმა „ახალსა ამბებსა“  
რომელმაც დასკა თავზარი  
იმერთა ქალჭ დაბეგნა.

điều kiện.



## სასარგებლობის ცნობები

## (ქართული კალენდრებიდან)

6 3 6 3 0 6 1 3 0 9 8 0 1 3 0 8 5

„ადულდება თუ არა ქაბი მაგარის ხორცი,  
მოხადეთ თავი და ერთი კოში წმინდა პურის ასა-  
ყი ჩაასხით. ხორცი ძლიერ მაღლ მოიხარშება, და-  
ბილდება და არც არაყის გემო ექნება“ (25 ავგუს-  
ტო, კ. თავართებილაძე).

P. S. იმავე მიზანს სხვა საშუალებითაც შე-  
გიძლიათ მიაღწიოთ:

- ა) მიზრაძისთ საყისპოში და მოითხოვეთ ხორცი თანახმად ქალაქის ნისრისა. მეყასსე შემოგვიურთხებს, თქვენც შეუკურთხეთ. ის მოიწეოს თქვენზე, თქვენც მიიწიოთ. თუ ხორცის კატეპლარბილება გსურთ, უნდა ზორბა და ღონიერი კასაბი ამოიღოთ ნიშნები.

ჩინებულია, თუ ყასაბს გოროდოვოიც წიგნ-  
ეშველება.

ამგვარათ დარბილებულ ხორცს უნდა წაუსვათ  
იოდი, ან შემოაკრათ კამპჩესი და რამოდენიმე  
კყირით გასტიმოთ საწოლზე თბილი საძნის ქვეშ.

8) Հյոցովուած յշիհան զայնեցուլ ապէմոմովով  
շինան զայինորոտ լդ նշորցի մուշտորոտ. եռութ  
յլը սայութեանոտ առծոլցնես.

გ) თუ მცირებულოვანი ბრძანდებით შევიძლიათ

მიეპაროთ მასწავლებელ დ. ბ—ძეს, ისიც ჩინებულათ არბილებს მაგარსა და მოუხეშავ ხორცს.

დ) საქმარისად მიაღწევთ მიზანს ხორცის დარბილებრისას, თუ ხართუხის კლუბში „არშინ მალალანის“ წარმოდგენას დაესწრობით.

ე) უკანასკნელი, მაგრამ უეპარი საშუალება ხორცის დარბილებისა გახლავთ ხელზე მოსამსახურეთ შესვლა სასტუმრო „ვ—ში“ და იქ შექერფიანგებულ პრ—სთავის ანგარიშის მოთხოვა:

### წყალშეუზალი ფასეაცეველი

,,აიღეთ 2 ბოთლი სელის ზეთი, უოტათი გაათბეთ, მერე შიგ გაადენეთ 60 გირვანქა ქონი, 6 წმინდა სანთლის კოტი და ამოდენივე ფისი. როცა გენებოსთ, ეგ ნელთბილი წამალი წაუსვით ჩექმას, არც წყალს შეუშვებს, არც სინესტეს.

(27 აგვისტო, კ. თავართქილაძე)

P. S. უკეთესი საშუალებაა: აიღეთ 3 ფუთი წმინდა ქვიშა,  $\frac{1}{2}$  ფუთი დუღაბი და ხუთი ვეღრიო წყალი. აზილეთ ერთი მეორეში ვიდრე მიიღებდეთ ფელამუშის მაგვარ სითხეს. ამას მიუმატეთ წვრილი ღერღი, ასე  $\frac{1}{2}$  ვეღრა. მიღებული ნივთიერება მაგრათ ჩასტკენეთ ფეხსაცმელში, ვიდრე გაიცემოდეს. გააციეთ და გამოაშრეთ.

ასეთი ფეხსაცმელი არ შეუშვებს არც წყალს, არც სინესტეს, არც ქარსა და არც ფეხს.

ეჭიშბაში.



## გ ა მ წ ა ნ ა

(ფოთისათვის)

თმა თეთრისა და ულაშ-შავს  
მუშაკათაც სახაეს თაქს,  
ეს კულტურის მსახური  
(თუ არ ასეით კახური.)  
ეომება ბურჯუებს,  
ვითომ პროლეტარია,  
თუმც ქართული ვაჭრობით  
ქანქარს ხელი დარია

წლობით იცავს რამაზანი\*)

როგორც მაჰმადიანი,

რომ ნუნუას გავლენით  
არ მიადგეს ზიანი.

მარა როცა დადგება

მისი ზაირსმეა\*\*) )

ერთად შესვამს დანათმენს  
ნახვაც „კი რამეა.“

როგორც ზოგი სარდალი,

(უკან მსვლელი ჯარებით)

ანგრევს, ამტკრევს ყველა-ფერს,

ვერც კი წაყეარებით.

თუ არ გჯერათ, მიბრძანდით

კაპარჭინის პირათა,

დაშლილ—ხიდე ღობეებს

თქვენ იხილავთ ხშირათა.

საჭიროა მათრახი,

თავის გრძელი კულითა

ას ოცი აქვს შისჯილი

ჯოჯოხეთის „სულითა“.

ბუტუნა.

## ოვიციალური გაპარსვა

მიხეილს ძალზე უყვარდა მოგზაურობა. არა ნაკლებ უყვარდა მას ყოველ დღე წვერ-ულვაშის პარსვა. ერთხელ, კავკასიის ქედის კალთებზე მოგზაურობის დროს, მან სამართებელი დაჰქარგა. საგონებელში ჩავარდა მიხეილი, რადგან სამი დღის განმავლობაში მისი სახე შეიიოსა გაუვალი სქელი ბალნით...

ერთი კვირის სიარულის შემდეგ მიხეილმა კარგა მოზღვილ სოფელს მიაგნო და პირველივე კითხვა მისი მიმართული მოსახლეებისადმი იყო:

— ჰაი, მმობილო, აქ თქვენ დალაქი არა გყავთ?

— როგორ არა, შენი კირიმე! აი, იმ სახლში ცხოვრის პეტრები! ის არის ჩეენი დალაქი.— იპოვა მიხეილმა პეტრეს სახლი.

სალამომდე, ვიდრე პეტრე ყანილან დაბრუნდეა ბოდა, სტვენასა და პეტრეს მეუღლე თებროსთან ლაპარაკში გაატარა.

პეტრეც მოვიდა.

— აბა, ჩემო პეტრე, შენზე მითხრეს კაი და-

\*) რამაზანი—მარტელობა.

\*\*) ბარამე— ახსნილება—აღდგიმა მაჰმადიანთა.

ლაქიაო. აბა ერთი შენებურათ გამისც-გამომისვი სამართებელი, თორებ კაცს აღარა ვევევარ.

მაღვ ჩამოასუჟა დაღაშე—პეტრებ მიხეილი ქვაზე, სკამზე სარკის ნამტვრევი ასკუპა, რომელ-ზიაც მარტო ცხვირს თუ დაინახავდა ადამიანი, გაქ-ნა სარეცხი საპონი თიხის ჯამში, გალესა ხერხის მსგავსი სამართებელი ქამარზე, დაიფურთხა ხელზე, გაუსვა საპინის ქაფი მიხეილის ბალნით შემოსილ ლოყებს და შეუდგა ფხევას... მიხეილმა ყველაფერი მოითმინა... ორგან-სამგან ეხლაც ამწევია მიხეილს პეტრეს სამართებლის ნიშნები...

ბევრი წვალების შემდეგ შეასრულა თვისი მი-სია პეტრემ.

— კაცო, ულვაშები რაღაზე დამატოვე?

— ულვაშები?

— ჰა.. რატომ არ გაპარსე ულვაშები?

— ულვაშების გაპარსვა ვინ გაიგონა?

— შენ რა გინდა, კაცო! გაპარსე, მორჩა და გათავდა!

პეტრემ პირჯვარი გადაიწერა.

— კაცო, ულვაშები როგორ გაგპარსო?

— როგორც წვერები! გაპარსე კაცო!

— არა, მმათ, მერე გინდა, რომ ერთი ამბავი ამიტეხო და სუდში მიჩივლოს მაგის გულისოვინ კატორლაში გამგზავნიან.

განცვიფრდა მიხეილი!.. ბევრი ეწეუბა, ბევრი ეცვეწა, მაგრამ ამაოდ: პეტრე ულვაშების გაპარსვაზე ცივ უარს ამბობდა. და არც სამართებელს ანგ-ბებდა მიხეილს—ხათაბალა არაფერი ამკიდოსო...

— მაშ, რა ვჭია კაცო?

— ი, თუ გინდა პოლიციით გაგპარსამ.

— როგორ, როგორ?

— ტარშინას მოვიყვან, ხელწერილის ჩამოგარ-ომევთ, რომ არ მიჩივლებ და გაგპარსამ.

მოვიყვანეს „ტარშინა+ ზაქარა, შეადგინეს ქა-ლალდები, მოაწერინეს ხელი მიხეილს ქალალდზე და მხოლოდ ამის შემდეგ იქმნა მისი ულვაშები განა-დგურებული, გაკვირვებული სოფლელების თანდას-წრებით...


მიხეილს ხელწერილის ასლი შენახული აქვს. ი, რა სწერია მასში:

„მე მიხეილ იოსების-ძე კეხაძე გაძლევ ამ ხელ წერილს შენ დალი პეტრე გურასაშვილს, იმაში, რომ ჩემი თხოვნით გამარსე ჩემი საკუთარი ულვა-შები და მე არაფერს სუდში ამაზე არ გიჩივლებ.

მიხ. კეხაძე. ამ ხელწერილს ვამოწმებ ათას ცხრას თექვეშეტ წელს ხუთ თბიათვეს ს. ქედისძირის მა-მასახლისი ქორიშვილი“.

ამისთანა ამშებიც ხდება ქვეყანაზე!

გუგული.



## კლეასეანი

გავარდა ზარბაზანი და ლიერთმა ისე თქვენ მიცალებულები გამოაღვიძოს, როგორც მე გამო-მეღვიძა.

ე, ბიჭო, აღმასხანა, თუ ვარგხარ, ახლა ვამ-ინე შენი პალაუნია მეთქი. მთელ ქალაქში პირ-ველი პოვარი ხარ, — საუკეთესო გასტინუაში მა-სურებ, რაზე გავამდიღრო სხეი ჩემი შრომით; მო-დი მე თითონ გავაღებ სტალავოს მეთქი. მივედ ხაზენთან და ევიღე რასწორო. ერთი ჩავთიქრდი... ბიჭო, ამ სტალავოს რომ აღგა, შენც ხომ ისე უნდა გაპარონ, რავარც ჩე ვპარავლი ჩემს ხაზენსე! ჴა, მა-გას ვერ ვიზამ? მე უფრო კარგად მოვაწყობ ჩემს საქმეს—მეთქი და გადაეწყვიტე ცოლის შერთა. ვიშოვნი სულის მეგობარს, მარჯვენის ამხანაგს და ორი ერთად კარგად წევიყვანთ ვაჭრობას — მეთქი... მარა, ვინ შევირთო? გოროვდსკო ბარი შნ? აა-ჴა! იმის შლაპკას და ტუფლებს არ ეყოფა ჩემი ნა-შოვარი და მამიჩემის დანატოვები! ისევე შევირ-თავ სოფლის გოგოს, ნაკულკას დავახუროვ, წუ-ლას ჩავაცევ—ისიც კმაყოფილი იქნება და მეც ეკომონის გავწევ.

ასეც მოვიქეცა. წევედი სოფელში, ამოვარ-ჩიე ერთი ძვალ მაგარი გოგო და დავიწერე ჯვარი. ახლა მის სილამაზეს არ იკითხავთ?

ოცი წლის ნახელი ჭაკი კეხნივითა ჰქონ-და ქვედა ტუჩი ჩამოშვებული. თვალები—ერთი ფრანციაში იყურება, მეორე—ჩინეთში. ცხვირი აქვს ამფართე. ტრაპაზონში ჩი რომ ქვა ისროლო, იმას მოხედება ცხვირზე. დაბალი ჯუჯგი და კუ-ზიანი.

არ იყითხავთ, რატომ შევეირთე ეს მშვენიერება?

რაც მე ჩვენი ქალების ეშმაკია მინახავს, ლამაზ ქალს რავა გავაჭარებ ოჯახში? ერთი თუ განხე მიიხედე — გატოვა სიყვარული! ჩემ ცოლს კი, ძალიანაც რომ მოუწდეს არშიყობა, რომელი ვაჟაცი იქნება ერთი შეხედოს და კულმომწვარ კატასვით არ გეიქცეს.

ახლა ჩაცმა?! ერთი როტა სალდათის შენახვა ჯობია ერთი ლამაზ ქალის შენახვას!

ჰო და ვიფიქრე, არც ხარჯი მექნება, არც არავინ გოუარშიყდება მეთქი. დევიზერე ჯვარი და ჩეციყვანე თფილის.

სტანციიდან დაწყებული ჩემს ბინაძე სულ კივილ-კივილით მივიყვანე. რამდენი მაღალი სახლი ნახა, იმდენი იყივლა.

ვარანც ცოვის პძიატნის რომ შეხედა, მკითხა, — აი კაკი სულ ასეა გაჩერებულიო? რომ კაბები და ბათონკები დეინახა ქე არ შეექნა გული! ჰო გენაცვალე! გაჩერებულია, მარა რომ დაღალდება ქე ჩამოუდება ქვაზე, მეთქი. მაღაზიებში, „უი, რა კაი!“ წამეიძახა ერთი. „აგი მეც ქე დამშვენდება!“ ჩამილაპარაკა მეორეთ. „ოი, ისე დაგიმშვენდა გვარი. შენ რამე დაგშვენდეს მეთქი! ვიფიქრე და გადაწყვიტე ქეჩაში აღარ გავატარო, ჩავკეტე ქუჩაში და ვარეცხი ჰასუდა.

ვატრობა — სიცოცხლე გაქვთ, უარი მქონდა. ნახევარ გინვანქა ხორცის გავყიდდი სამჯერ. ჯერ მოვხარხავდი სუჟეს! ჰო და მუშტარი წვენს თუ შეხერებდა, თვარა ხორცი! არ შეგვამოს ჭირმა! აქ რომ გაცკრავდა კბილს, ხეორე გვერდით გამოაგორებდა. კარგად რომ გამოსწურნიდა წვენს გადმოაგდებდა თეფშე. ამ ნაღებ ლუქმას დავკეპავდი და ვაკეთებდი ბეფ-სტროგონის. მუშტარი თუ ძან მოშივებული იყო, ქე ყლაპავდა ინდაურივით თელ-თელათ, თუ არა და გამოსწურნიდა სმეტანს და გადმოყრიდა. ჩაუძახებდი მაშინ კაში, დავიჭვაც-დი და ვაკეთებდი კატლეტს, პერაუკებს ან ბირკი სლუქმის... ჰე, აქანა თავდებოდა ერთი ნაცერი ხორცის ოპერაცია.

ასე ამგვარათ ქე მიდიოდა ჩემი საქმე კარგად, რომ ჩემი მზეთ უნახავი არ გადმირეოდა.

ერთ საღამოს მივედი სახლში დაღლილ და-ქანცული და მივეგდე ლოგინზე. მოვიდა, თავზე ხელი გადმისვა და მაკოცა. ცოდვა გამზღვანებული სჯობია, ქე მიამა პატარა! სახეზე რომ ღიმილი

დამინახა კიდო მაკოცა. მევედი ეშხზე, დავხუ-კე თვალები და მეც ვაკოცა. ოი, რატომ მიწა არ დამეყარა ტუჩებზე! მომხვია კისერზე ხელი და ენა მოჩელეებით მითხრა: „ალმასხან, მე ბაჩაჩები მინდა!“ უცბათ გამკრა კინკრიხოში. „ბაჩაჩები“ რა ჟენი სიყვდლია — მეთქი? ბეჩა, არ იცი, ტუფლე-ბიაო! ღმერთო, რატომ სულს არ ამომახდენ, ამას ტუფლების სახელი უსწავლია, ევიში და წამოვარ-დო! ჰე გლახა, ჰე მათხოვტის შეილო! შეიშველი ფეხით ტალახში და ქვებზე ნარბენი ფეხები დახეთ-ქილი გქონდა და მე აქ 40 მ. ტუფლებს მოხვე? არ გნახოს ჩემა თვალებმა, ეკარი ბარგი და გასწი ჟენს სოფელში მეთქი! ატყდა ჯოჯოხეთი! ყველა სიკეთესთან ისტორიაც რომ ისწავლა!

რა ვენა დაღალული კაცი სახლში დასას-ვენებლად მოვედი და რა სასიამოვნოა დედაკაცის ტირილი, ამოეიდე ოთხი წითელი ქაღალდი და მივეცი.

მეონია ამით გათავდა მეთქი... არ შეგვამოს ჭირმა. ჩემდა საუბედუროთ ქე არ დაცხა!

ერთ დღეს ჩამილაპარაკა: „ქვეყანა დაჩაში მი-დის და ჩვენ რა სხვაზე ნაკლები ვართო.“ ვეემ, ეს ძან შემომაპარა მეთქი და არ გავეცი ხმა. დე-და რომ აღარ მომასვენა! „კასრულზებიც-კი და-ჩაში გზანიან თავიანთ ცოლშველს და ჩვენ ხომ რესტორანი გვაქსე... რატომ არ უნდა წევიდეთ დაჩაში?? კიდო წევიყრუე მარა დედაკაცთან რა-მეს გახდები თუ?! რომ მუშაწყო პრუსინა — ეიჩემა: დაჩა, დაჩა, დაჩა!!! ოი, გაგჩაჩა ჩემა სალოცავმა! გამიჩინა ჯოჯოხეთი. გადაწყვიტე, გავუშვა და-ჩაში, მარა მარტო რავა გაუშვა? ის ჯახ და-საქცევი ბრუკანია — ან ფაიონი გასრესავს, ან ვინმეს დევჯახება და ცოდვა ამიღულდება მეთქი, დავადევი ბოქლომი ჩემს სტალავოს და წევედი დაჩაში.

გავუყარე პოდრუჩე და გავატარე პარკში. რომ დეინახა ეს მუხლებამდე დაკაპიშებული და გულ მოღლეტილი ქალები, ე მოღრენცილი თვა-ლები რაღაცნაირა გაუშტერდა... ერთი დამცეცხლა, არ მიამა, მარა გაცხამდი და ველი, რა იქნება. „ბეჩა, რა კა ჩატალულები არიანო! ჰაა, ღმერ-თი არ გაგიშურეს, ურაფერი მომთხოვო, თვარა რომ ამოგრავ პანლურს, პირდაპირ ჟენს სოფელ-ში დაგდებ-მეთქი! გაგიგონიათ დედაკაცი რამებ ჟე-შინოს? რომ მივედით სახლში — ერთი მაკოცა. რაცხა-

# სცენა ერთ ქალაქში



ჩატველი. რას იცინით, გზა უნდა დაფულოცოთ!  
სხვები. დაფულოცოთ, დაფულოცოთ.

არ მიამა ე კოცნა, მარა რას ვიფიქრებდი. ვახშათ  
რომ დავჯექით დამადგა მხარზე ხელი და მითხ-  
რა: „იცი, ალმასხან, ძალიან გულით მინდა  
კლოში!“ კი, გრძაცელე, ახლა რაღა დროსია და  
ხვალ შეგიყვან საუკეთესო რესტორანში და ერთის  
მაგივრათ ორ პორციას გაქმევ მეთქი. „შე სულე-  
ლო, კლოში საქმელი კი არა, ჩასაცმელია... კა-  
ბააო?— რომელი კაბა-მეთქი? — ახალ მოდის კაბაო!  
კაბაო! დედა, მომეკიდა ცეცხლი! ამ სასიკვდილეს  
ერთი შალის კაბა აქვს, ერთი ჩითის, ერთი სატი-  
ნის და ერთიც, რა, გაგიშავდეს გვირგვინი, ერ-  
თიც საგვირგვინო, და ახლა კიდო კაბა! მერე რა  
კაბა! ახლანდელი კაბა! რო გაფინო მინდორზე და  
კაი ლაფშა ცხენით იჭენო სამ დღეს ვერ შემოუვ-  
ლო! ველარ მოვითმინე, დაუტაცე ხელი ქაფქირს,  
ვესროლე და წვივის ძეალი შაბავით გადაუმტვრიე.

ახლა ფეხმოტეხილი გდია ლოგინზე! არც  
კლოში უნდა, არც კალოში და აღარც პოლსაპოშ-  
კი.

შო და ვინც ამ სიძვირეში ცოლს შეირთავს,  
ჩემზე უარესი დღე მოელის.

ვალ. შალიკაშვილი.

## სიმღერა მოცემული მუშისა

გაჭირებამ მაიძულა  
ამ საზღაპრო დუხშირ დროში,  
განვიზრახე სადმე წასკლა,  
შემეძინა ცოტა გროში.  
იმ დროს ჩვენში თარეშობდა  
ნიკო, ჩუმი გაიძვერა,  
ვიღაცისგან მინდობილი  
ჰქონდა მუშა იეწერა.  
იმოდენა ილაყლაყა  
ბეჭას გული ამიძგერა  
და ჯოჯოხეთ წასასვლელათ  
შემაცდნა .. დამაჯერა.  
არ გასულა ერთი კვირა,

რომ შემემთხვა ეს ამბავი:  
 ჩვენი გუდა და ნაბალით,  
 შიგ „ჩურბუქში“ გვიკრა თავი.  
 რასაც გზაში გვპირდებოდა  
 ნიკა, ჩუმი გაიძვერა  
 თურმე იგი თამასუქი  
 ცივ ყინულზე წაგვიშერა.  
 იქ ჩვენ ბევრი უცხოც დაგვხვდა,  
 ვინც არ იხსენების ქებით,  
 ასჯერ ფლიდი, შემპარავი  
 ჩვენს ნიკოსთან შედარებით.  
 მეღუქნე ჯიჯიეშვილი,  
 იოსებ და ისაკია  
 რაც კაცისთვის საჭიროა  
 იმათ სწორეთ ის აკლია.  
 მათი გირვანქა ჩარექობს  
 მანეთს ღებულობს შაურად,  
 მუშის ზურგი გაიხადა  
 მან გემრიელ ხაჭაპურათ.

ელაქუცება უცნობებს  
 ექცევა ვითომ ძმურათა,  
 როცა მიინდობს, გაიხდის  
 მას მყისვე საწველ ფურადა.  
 ბატონი სამსონ საჩინო  
 აქ არ ლირს მოხსენებადა  
 ფულისთვის ძმასა გაყიდის  
 გულს მიინიჭებს შვებასა.  
 ეშაკი და შემცოდავი,  
 როგორც ტურა, როგორც მელა,  
 მუშა ხელში ვინც ჩაიგდო  
 გაატყავა ერთობ ყველა.  
 თუმცა მათ ბევრი იმსხვერპლეს  
 მუშა შავი, უბედური,  
 მაგრამ ბოლოს წამწარდებათ  
 სხვისი ოფლის მონაწური...

შხამიანი.

# კატარა ფელეტონი

თ ე ლ ე ფ რ თ ა ნ.

2

— ძინ, ძინ, ძინ!

— ვინ იძახის?

— მე კი არ გეძახი, ვლაპარაჟობ!

— ვინ თქვენ, ვინა ხართ? რა ვნებავთ?

— განა ველარ მცნობთ!

— ვერა!

— სასაცილოა ღმერთმანი, სამწუხარო რომ არ იყოს!

— აა, გიცანი, გიცანი.

— აბა.

— ვასო აბაშიძე!

— ხა-ხა-ხა-ხა... ვასო აბაშიძეო? რა მსგა- ვსებაა...

— მაშ, ვინ ხარ, კაცო, რათ ხუმრობ? ხომ იცი ახლა საოხუნჯოთ არა მცალია...

— არც მე მოვსულვარ საოხუნჯოთ; დიდი, სე- რიოზიული და მასთან კურიოზული საქმე მაქს თქვენს რედაქციასთან!.. უნდა გამისწორდეთ, იცით თუ არა, უნდა გამისწორდეთ!.. ახლა მიცანი ვინცა ვარ?

— ახლა სრულებით აღარ მსურს თქვენი გაც- ნოა...

— ევ თქვენ ვერ გიშველის; უკვე გაბმული ხართ ხაფანეში.

— რაშია საქმე?.. ნუ მაცჟენთ ღვთის გული- სათვის!

— ეჭე, ძალიან იოლათ მოგინდომებია გადარ- ჩენა! თქვენ დიდათ პატივცემულ ორგანოში ჩემი აღმატებულების შესახებ ლანდება გინება ამოვიკით- ხე. როგორ ბედავთ თქვენ ამას? ვინა გგონივართ მე?..

— ბატონი ჩემო, გვაუწყეთ თქვენი ვინაობა, ვიცოდეთ ვისთან გვაქვს საქმე. მეტათ შორიდან იწყებთ, აქინურებთ საუბარს და მე არ მცალიან ფელეტონი უნდა დავბეჭდო?

— რაიმ? ტელეფონი უნდა დავლეჭოო? აბა გაბედეთ...

— ნუ ხუმრობთ, თუ ღმერთი გწამო, ტელე- ფონს რას ვერჩი, ფელეტონი უნდა დაესწერო და დავბეჭდო.

— ჰოო, ეგ თქვენი ნებაა... მაგრამ ჩემს სა- ლანდლაგათ ვინ მოიცალა ამ დღეებში? არ შეიძლე- ბა მაცნობოთ?

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე ნიკოლოზ ჯინჯილოვა გახლავარ! ერ- თი პატიოსანი, უწყისარი, გულ ალალი კაცი ვარ და ვინ შეეხო ჩემს პიროვნებას ისე შეუბრალებ. ლათ, ა?.. მაცნობეთ და შემდეგ მე გავუსწორდები მას... ის ერაც „პარხალულია“, გაუზღელი, მუტ- რუკი! რათ ამოფარებია ფივსდონის, თუ იმას სი- მართლის თქმა უნდოდა, აჲ?.. მითხარ, გამაგები- ნეთ... რაკი ფელეტონებს სწერთ, მაშ რედკუის თავი და ბოლო თქვენ ყოფილხართ!..

— ოო, ახლა ვიცი ვინც ბრძანდულხართ — ნიკოლოზ ჯინჯილოვი! კეთილი და პატიოსანი, თქვენ შეგიძლიათ თავი იმართლოთ ისევ ჩეენი პა- ტივცემული გაზეთის საშუალებით.

— რას ამბობ, კაცო! მე ახლა უკვე მოხუც- ბაში შევდგი ფეხი და თქვენი გაზეთის თანამშრომ- ლობა გინდა დამატებინოთ? მეორეც — მე კარგათ ქართული წერა არც კი ვიცი, თუმცა დევლი ქარ- თველი ვარ, განთქმული გვარისშვილი! მე მოკითხევს წერილებს სხვებს ვაწერინებ ხოლმე როცა დამჭირ- დება....

— ბატონი ნიკოლოზ! ჩეენი რეევა ეგ არის: აუცილებლათ კულტურული საშუალებით უნდა ინგებოთ იმ კორესპონდენციან გასწორება, სხვას ჩეენ ვერაფერს გირჩევთ... შემოიარეთ რედაქციაში და უფრო დალაგებით მოვილაპარაკოთ... ნახვამდის!

— არა, არა, მაღროვე ცოტახანს, თუ ღმერთი გწამის... მე ბოლომები გულს მიკლავენ... ჩემი მამულ- დედული ბან კებშია დაგირავებული და „პროცე- ტების“ ფული არ მაქს, რომ შევიტან თავის დროზე... არი შევილი ომში მყავს და არ ვიცი რა მომელის... ცოლი, ჩემი ერთგული და გამამხნევე- ბელი ხვარამზე ავათაა... არც ერთი ექიმის წამალმა იმას არაფერი უშველა...

— მაპატივეთ, მაგრამ უნდა დაგტოვოთ, აღარ შემიძლია მეტის მოთხენა; ფელეტონს ველარ მო- ვასწებ სახვალით.

— აპა-პა-პა-პა, არაფერი გზით, არაფერი გზით არ შემიძლია თქვენი მოშორება, სანამ ყვე- ლაფერ ჩემს გასაჭირს არ აგიხსნით, არ გაცნობებთ თქვენ, საზოგადო მოღვაწეს... ჰო, წამალი არ წა- ადგა, ფული ნასესხები, ნავალები ტყუილა იკარგება

აფთიაქებში... მაშ, არ უნდა გამელანძლა ის აფთიაქები? ის კი არა, უნდა მომექლა!.. ეხლა გამომდეგარა და გაზეთი მლანძლავს, ათას ჭორებს მიღონებს: როდის მივიწიო მე ჯოხით საცემრათ? მართალია ორიოდე სიტყვა ცუდი ვუთხარი წამლის გაძირების გამო, მაგრამ ჯოხი არ მომიღერება; ტყუილია, სულ ტყუილს სწერენ გაზეთში... ამისათვის მან პასუხი უნდა აგოს... ორში ერთი: ან მითხარით, გამიგებინეთ კი არის ის „ჭარხალელი“, რა კაცია, საიდან გაიგო ის ამბავი, თავისი საკუთარი თვალებით ნახა, თუ არა; ან და თქვენ უნდა ბოდიში მოიხადოთ, როგორც შემცდარმა და კორესპონდენტის მიერ მოტყუილებულმა... უნდა აცნობოთ ქვეყანას, რომ მე ჯოხით არ მივწეულვარ აფთიაქარზე... ეს სისხლის სამართლის საქმეა... უნდა დამიმტკიცოთ...

— დამშვიდდით, ბატონო ნიკოლოზი, დამშვიდდით; ყველაფერი გამოსწორდება... შემოიარეთ რედაქტური, ხომ იცით სადაც არის მოთავსებული, ნომერი...

— ეეჲ, კიდევ რედაქტურაში!.. მე იმ რედაქტური, სადაც მლანძლავენ — ფეხის დამდგმელი არა ვარ...

— მაშ, პასუხი გამოგზავნეთ, დავტეჭდავთ... ეხლა მშეიძლობით აღარ მცალიან...

— ძინ, ძინ, ძინ!

— მოიცა, მოიცა, ერთი კიდევ უნდა გითხრათ...

ტელეფონი დადუმდა.

ალბურიონი.

## ჩინის გზის მთავარი სახელოსნო (სცენა)

გავარდა ხმა: სახელოსნოში ხალხს ღებულობენ... დავაშერიყო „პრაშენიკ“, მიუტანე ნაჩალნიკს და მუხლის ჩოქით დევეტყნე: გასპადინ ნაიალიკ, ნი იმერე ნი ღომა, ნი ბელელი, ნი კუსოქ ზემლა, პაშირაიშ სიმესტრა გალოდა და პრინიმაიტი ნა მასტერსკოუ, მეთქა. ჯერ გეიცინა და მერე მითხრა: პრინიმაიტო.

დევიზე მუშაობა; გათავდა თვე და ვნახე ჩემი ტაბილი... ენახე მარა რა ვნახე, თლა მარსკოვივით მოჭედილია წითელი მელნით. 18 ჩასოვ და

18 ჩასოვ, დავთვალე და გამევიდა ერთ თვეში სულ 72 დღე და 2 სათი. გაკეთდი და აგია; ვიფიქრე თუ ასე ვიმუშავე ექვს თვეში გადავასახლებ ჩემ მეზობელ ივანეკას-თქვა. გევიდა კიდო ერთი თვე და ქი არ მომენატრა იმერული ხარჩი და ღომის მივედი უფროსთან და უთხარი: ესლა პუსტიტ ნა იმერეთ, კაკ დრუგო ნისოტ ტებე ინდოურ, ბატ, გოჭ, ისთე მეც მოგიტან მეთქი, მარა არ შეგქამოს მიწამ. მეწინა მარა რას ვიდიდი?

გევიხედე ერთ დღეს ეველი პარაზე, ჩემდა საბედნიეროთ დამისრიალდა ფეხი და ბრაგანი მუალინე ძირს. გავაქანე ფეხი, რას გააქანებ, ზედ მუხლთან გადამტეხია. გავკეთდი კაცი და აგია, თუ ვიშოვე ოტბუსკი იხლა თქვა ვიფიქრე და შევჩერდი კანტორაში, — გასპალინ მასტერ, ნოგი სლამალ დავაი ოტბუსკ მეთქი. ჩორთ სტაბოი დაიომ დვა დწიავო.

გამოეჩირდი იქიდან, მივეცი სტოროუს ორი შაური...

გევედი კარებში და სულ ასკინკილეს თამაშით მიველი შინ. გადევიკიდე ხურჯინი, ჩევიდე ჯიბებში „სიზონი ბილეთი“ და ჩიკ ჩიკ... ჩიკ-ჩიკით ჩევედი სტანციაში. დეიკრა ზეანკი თუ არა, შეიქნა ქალების კოტრიალი, კაცების ცხვირ-პირის თეთქვა. ჩამოვედე ხურჯინი და მე მესამე ატაჟაზე ამოუჯედი ერთ დიდ კარზინჯას.

დეიძრა პოეზი თუ არა მომესმა კანლუხთორის ხმა:

— ჩია ხურჯინ? სნიმაიტ სკარეი!

— ჩემია ბ-ნა, მინდოდა სკამეიკის ქვეშ შემნახა, მარა იქინე თქვენ სტუმრებსა სძინავთ.

— ეტო ნი ტვორი დელა! დავაი ბილეთ.

უჩვენე „სიზონი“ თუ არა მისთანა მრეხევა ბილეთის გასაჭრელი მაშინკა ფეხში, რომ რიხინ-რიხინით ჩამევედით მე და ჩემი მეზიბელი კარზინკა ჰევიდან.

— რაზე ტი ნიზნაიშ პო პრიკაზანიე ნაჩალნიკ დაროგა „სიზონი“ ბილეტიმი ნა „სკამეიკი სიდეტ“ ნე იმეტ პრაგა. ამ ჩიუბში ვინცხამ მოიკიდა ჩემი ხურჯინი და ქე მივა.

— მეიცა ძამისა! თქვენ შეგეშალათ, მაი ხურჯინი ჩემია!


— შენ სიცხე ხომ არ გაქვს ჩემ ხურჯინს შენ მასტავლი?

მევიდა ის და წაგვიყვანა ორივე. შევედით

კონტორაში და დოუნიშნეს ჩემ ხურჯინს ზასედანი იყ. ილაპარიკეს უენოთ, აპაქუნეს თვალები, იფხანეს ჯიბესთან და განაჩენი გამეიტანეს ამფერი: ნაობახთი ხურჯინს და მიმტანს (სასჯელს მეიხდიან იმავე კანტორაში) და მე სრული განთავისუფლება.

ასე დამთავრდა ჩემი მგზავრობა.

ალძამია.



## დეპეშები

(ბუტუნას სააგენტო)

ბ-ნი „შხიფაგი“ სამეცნიეროს ეპარხილიან დაბრუნებული გამგზავრა გურიაში სასულიერო საჭმების განსაკუთრებულ მონლობალობათა საბიებლათ.

ბ-ნი „თვალთმაქცი“ დაბრუნებული ფოთში აგარაკილან და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

ქ-ნი „როვაპი“ ცნობას იძლევა, რომ ის ამ დალებში დაუბრუნდება თავის პოსტს, ის ზაფხულის გამო დასასვენებლათ იყო აგარაკ „ჩეგოლაში“\*)

უფ. წინასწარმეტყველი „თილისმა“, რომელიც მალიარიის (უქმური) ავათმყოფობით შეპყრობილი ექიმების რჩევით „ახტალის“, ტალახებში იყო საბანაოთ წასული, სავსებით განკურნების და იდრე დაბრუნების ცნობას იძლევა, რამაც დიდათ გაახარა ჩვენი სააგენტო.



\*) ჩეგოლა—ცნობილი თეატრი მთა სამეცნიეროში.

## ელენის კაბა

(პატარა მოთხრობა)

I

საბრალო ელენე! ძლივს ეღირსა ახალ მოდის კაბა!.. მაგრამ, როდესაც ვამბობ „ეღირსა“ მეტქი, მეშინია ამ სიტყვით უნებლიერ შეცდომაში არ შეგიყვანოთ; არ იფიქროთ, თითქოს კაბა სრულიათ მზათ იყოს და ტანზე ჩატანის მეტი არაფერი სჭრობებს, არა! მაგრამ უმთავრესი მშვიდობიანათ დააგვირგვინა ელენემ! საკაბე უკვე ნაყიდია, შესაკერი ფულიც ჯიბეში აქვს. ხელ მკერას ჩაურბენინებს, შემდეგ ორჯერ-სამჯერ მოიზომებს და... მორჩა, ორი დღის შემდეგ კაბა მზათ იქნება, ორი დღის შემდეგ ელენეს შეეძლება ახალ მოდის კაბით სიარული ოჳ ღმერთო ჩემო! რა ბედნიერი დღე იქნება ის დღე ელენესათვის!..

ენა ყველაფერს ადვილათ იტყვის „ახალ მოდის კაბის შეკერვა“! რა ადვილი სათქმელია, მაგრამ იცით კი როგორ დაუჯდა ელენეს ეგ კაბა? მერწმუნეთ რომ ვერც გაიგებთ, სანამ კარგათ არ გაეცნობით ელენეს ტანჯულ ცხოვრებას. .

სწორეთ გულეჭვა ადამიანია ელენეს ქმარი, ლუარსაბი! ვინ მოსთვლის რამდენი ეხვეწა ელენე მას, რამდენი ემუდარა, რამდენი ცრემლები დაღვარა, მაგრამ ამიოთ! თათქო ლუარსაბს გულის მაგიერ ცივი, ქვა ედოს მკერდ ქვეშ.

დალონდა ელენე, სევდამ შეიპყრო იმისი უმანკა გული; ის ნათლად ხედავდა რომ ხევწინით, და ცრემლებით ვერაფერს გახდებოდა ჯიუტ ქმართან. დიდი ფიქრის შემდეგ ელენე დარწმუნდა, რომ მას მხოლოდ ერთად ერთი გზა დარჩენოდა და ეს გზა იყო, გზა ბრძოლისა მან გადასწუვიტა რაც ნებაყოფლობით ვერ მოიპოვა ის ბრძოლით მოეპოებია და ის კიდევაც დაიწყო საბედისწერო ბრძოლა.

II

მშვენიერი მაისის სალამო იყო! ცოლქმარი დერეფანში მაგიდას შემოსხდომოდენ და გრილ ჰარზე უდარდელათ შექცეოდენ ჩაის. ორთავე კარგს გუნდაზე იყო. განსაკუთრებულ სიმხიარულეს ელენე იჩენდა; ის წამ და უწუმ კისეისებდა და ცდილობდა მისი სიმხიარულე ლუარსაბაც გადასდებოდა; ბოლოს, რაკი დარწმუნდა ელენე,

რომ ლუარსაბი მართლაც კარგ ხასიათშე იყო და მაღინადაც იხლუპებოდა ჩაის—გადასწყვიტა გაეზიარებია მისთვის თავისი სურვილი.

მაგრამ ელენე არ გახლდათ აჩქარებული ხასიათის ქალი, რომ ლაპარაკი პირდაპირ საგანზე დაწყო. ის ყველაფერში დინჯათ და წინდახედულათ იქცეოდა. ამიტომ მან პირველათ სულ სხვა, გარეშე, საგანზე ჩამოაგდო ლუარსაბათან საუბარი; შემდეგ ნელ-ნელა და დიდი სიფრთხილით გადაედა საერთოდ მოდაზე, შემდეგ კი ახალ მოდაზე. აქ მან ჩამოთვალი მისი ყოველივე ლირსები, აღნიშნა, თუ როგორ აკოხტავებს და ალმაზებს ის ტანს, თუ როგორ უხდება შაბალს ან დაბალ ქალს, მსუქის, თუ ხმელს, შავგრემანს, თუ თეთრ ფეროვანს; ერთი სიტყვით ისე გაერთო ელენე ამ ლაპარაკში, ისე გაიტაცა ახალ მოდაზე საუბარმა, რომ მას ყველაფერი დაავიწყდა, დაავიწყდა თვით ჩაის დალევაც კი, რომელიც ყინულივით გაცივებულიყო; ის ვერაფერს ხედავდა ამ ღრროს თავის გასშემო: ვერც მაგიდას, ვერც ლუარსაბის, ვერც თვით ბადრ მთვარეს, რომელიც ის იყო თავმომწონეთ ამოცურებულიყო მთების გადაღმიღან, სწორეთ ელენეს პირდაპირ გაერებულიყო, უღიმოდა მას და თავის ვერცხლის ფერ შეუქს უხვად აურქვევდა მას მშვენიერ ცოტათი შეწითლებულ სახეს; ოჰ, ღმერთი ჩემი! როგორ ლაპარაკობდა ამღროს ელენე! ის სიტყვებს სრულიად არ ეძებდა, სიტყვები თავის თავათ მოდიოდა, მოჩუქრებდა მის ლალისფერ ტუჩებიდან, ვით მთიდან გაღმომჩეული ანკარანაკადული.

ლუარსაბი დიდ ხანს პირდაღებული შესცემა-როდა ელენეს. მას ვერ წარმოედგინა ვინ იდგა მის წინაშე, ელენე თუ სხვა ვინმე და როდესაც დარწმუნდა, რომ ის ნამდვილი ელენე იყო, ნაღვლიანი ჩააქნია ხელი და რაღაც გამოურკვეველ ფიქრებს მიეცა.

— ჰოდა, ასე, ჩემო კარგი! ასეთი კარგია დღევანდელი ჩვენი მოდა! ოჰ, ღმერთო, რა მშვენიერია, რა გასაგიჯებელია! პირდაპირ ენით ვერ გამომითქვამს მისი სიმუშენიერე... მიტომაც არის, რომ ახლა ყველა იმას იკრავს! აბა გნეგბ დააკვრდი თუ ნახავ საღმე, ან ქუჩაში ან ბაღში, ისეთ ქალს, რომელიც ამ მოდაზე არ იყოს გამოწყობილი.. მგონი ჩემს მეტს ყველას შეუკერავის!.. მეც ხომ მათში ვერ გამოვწყდები (ეს სიტყვები ნაღვ-

ლიანიად და ოდნავ გასაგონათ ჩილაპარაკა ელენემ)... მეც მაქეს სურვილი შევიკერო ის, რასაკვირებლია თუ შენ მიიღებ ამ ჩემ თხოვნას და საკირო ფულსაც გადმომცემ!

ელენე დადუმდა და მომღიმარი სახით მიაკერდა ლუარსაბს. ლუარსაბს ეგ სიტყვები ლაპვარიეთ მოხვდა გულში. ის მეტის მეტად ხელმომჭირნე კაცი იყო და საშინლათ ეზარებოდა ფულის უბრალოდ დახარჯვა. ავერ ხუთი თუ ექცის წელი მსახურობდა რაღაც დაწესებულებაში და არავის არ უნახავს, მას ექციოს, ან ეთამაშოს და ფული უმნიშვნელოთ გაეფლანგოს. შეიძლება აშიტომაც იყო რომ ლუარსაბს ამხანაგებში „ძენწის“ სახელი ჰქონდა დავარდნილი და ზოგი ზედმეტ სახელათ „პლიუშინსაც“ კი ეძახდა.

ასე თუ ისე ელენეს სიტყვებმა საშინლათ იმოქმედა ლუარსაბზე; ის დაიბნა, აღარ იყოდა რა პასუხი მიეცა ცოლისთვის. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა. საზოგადოთ ლუარსაბს ხანგრძლივი ლაპარაკი არ შეეძლო. დაიწყებდა თუ არა რასმე, თითქოს უფროსის წინაშე სდგასო, ისე აღელლებოდა, გული აუტოკტებოდა, სიტყვები ყელში მოებჯონებოდა, ან დაუეცრად გაუსხლტებოდა და მისდევდა მათ ლუარსაბი, მისდევდა, ისინი კი ცელქი ბავშვით ხან აქ დაემალებოდა ხან იქ, ბოლოს ისეთი ადგილას ჩაძვრებოდენ, რომ ლუარსაბი ვეღარ პოულობდა მათ და იძულებული იყო სირცხვილისაგან შეწითლებული ჩაჩიტებულიყო. ოჰ, რა შესაბრალისი იყო ამ ღრროს ლუარსაბს. მაგრამ, რადგან საქმე ფულზე მიღება ლუარსაბმაც მოიკრიბა უკანასკნელი ძალა-ღრუნე, რომ ლიტსეული პასუხი გაეცა ცოლისთვის. და ათრთოლებული ხმით დაიწყო: — ელენე!.. მე... შენი საქმე .. ძალიან მიკვირს... შენც კარგათ იცი რომ... რომ... მე შენს მოყვანაზე დიდი ხარჯი ვნახე... ცოტა ვალიც დამედვა... საკუთარი სახლი არ გვაქს... უნდა რამე .. ამაზე ვიფიქროთ... და ეკონომით თუ არ დავიჭირეთ... როგორ იქნება... თუ ყოველ თვეში ახალი კაბა იკერე... აქ კადევ უნდოდა ლუარსაბს რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვა ვეღარ იპოვა, განუმდა და თავისი სიტყვები მხრების აწევით დაასრულა.

ელენეს არაფრათ იამა ლუარსაბის ასეთი პასუხი.

— „როგორ შევცდი, რომ ამ დაოცს გავყევი

ცოლათ, — ფიქრობდა ის — ამშობდენ მდიდარია, ფულები აქვს თავის ცოლს დედოფალივით აცხო-რებსო... და ახლა შეხე, ერთი კაბისთვის როგორ აქვირებს საქმეს! რა ძუნწი რამ ყოფილა შენი ჭირიმე.“

— დღიდი საქმე არ არის ერთი კაბა, — ხმა მაღლა დასძინა ბოლოს მან, — არც ისე ძვირათ დაჯდება, შენ რომ ფიქრობ! ეს ერთი მიყიდე და შეტა არ გთხოვ! ლუარსაბმა დუმილით უპასუხა. ის წამოდგა და ოთახში შევიდა. ასე დასრულდა პირველი ცდა ელექცია.

მეორე დღეს კიდევ გაახსენა ელექცია ლუარსაბმის თავისი კაბა, მაგრამ ლუარსაბმისე ჩეველებრივი ფილოსოფიური დუმილით აძლევდა პასუხს.

მესამე დღეს კვლავ ჩიმოაგდო ელექცია ლაპარაკი კაბის შესახებ და ცრემლ მორეული ეველებოდა სურვილის შესრულებას, მაგრამ ლუარსაბმი მაშინვე ზეზე წამოდგა და ოთხქოს, რაღაც საშურო საქმე აქვსო, ქული დაიხურა და სწრაფი ნაბიჯით გასწიო ქალაქისკენ.

ასე გასტანა ათიოდ დღემ. ლუარსაბმის ასეთმა ქცევამ ელექცია მოთმნებიდან გამოიყვანა. და თხოვნა მუდარიდან ბრძოლაზე გადაიყვანა. იარაღი და ელექცია ამ ბრძოლაში ლანძღვა-გინება და თავისი ცრემლები გამოიყენა. ამის შემდეგ აღარ გათვენ-ბულა ისეთი დღე, რომ ელექცია ერთი აუარ-ზოური და ალიაქოთი არ აეტეხა სახლში და წყველით მწარე სიტყვებით არ შეექმო ლუარსაბმი.

— „რას დგებოდი ჩემს ცოდვაში, რისთვის წამიყვანე თუ ვერ მარჩენდი, თუ ვერ ჩამაცმევდი, თუ ვერ დამახურავდი! ვინ გეხვეწებოდა? განა ამ ოთახში უნდა გამოიხიჩევ, ქუჩაში ვერ გავიდე, სხვებივით ვერ გავიარ — გამოვიარო?! ეს ყველა იმისთვის, რომ კაბა არა მაქვს კაბა, გესმის შე დათვო! (ლუარსაბმი მართლაც გარეჯული შეხედულობით დათვს მოაგონებდა ადამიანს.) რას იტყვის ხალხი, ერთი კაბა ვერ უყიდა მისმა ქმარმარ, ქუჩაში სირცევილით ვერ გამოდისო! ამ, ღმერთო, ღმერთო! ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი არა სკობია!؟“ უმასპინძლდებოდა ელექცია სამსახურიდან დაბრუნებულ ლუარსაბმის. ამ სიტყვებს მოაყვებოდა, ათასი სიმწარე, და ბოლოს ყველა ეს ცრემლებით დამთავრდებოდა. ელექცია ამ დროს უეცრად ამოვაზღვილ გრიგორს მოაგონებდა ადამიანს; გრიგორის, რომელიც გრგვინვით და რისხით მოვე-

ლინება არე-მარეს, მილეჭ-მოლეჭავს ყველაფერს, იქროლებს, იგუგუნებს, ბოლოს უეცრადვე ჩანელდება და ანაზღულათ კოკის პირულ წვიმის წა-მოუშენს.

დღიდ ხანს იგერიებდი ლუარსაბმი ქალის სასტიკ იქრიშს, მაგრამ ბოლოს ელექცია მაინც თავისი გაიტანა! ლუარსაბმი თან და თან სუსტდებოდა, ბოლოს მიუდგომელი ციხე დაეცა!

ათრთოლებული და აკანკალებული ხელით ამოიღო მან ჯიბიდან ფული და წყველა-კრულვით გადასცა ელექციას.

ოპ როგორის აღტაცებით შეეგება ელექცია მშულის აქამდე შეემუხენებლი და რისხის გამომხატველი შუბლი უეცრათ გაეხსნა, დასეველიანებული თვალები მსწრაფლ აენოო და გაუბრწყინდა, ლამაზ ლოყებზე ვარდის ფერმა გადაპრერა, ლალისფერი მოკუშული ტუჩები ღიმილმა გაუპო და მთელი მისი სახე რაღაც უჩვეულო, ციდან მოვლინებულ ბეღნიერებას გამოსახვედა.

ელექცია საჩქაროთ ჩაიცვა ტანთ და გასწია ქალაქისაკენ თავის ნანატრი საკაბის საყიდლათ.

### III

საქმაოთ შებინდებული იყო, როდესაც ელექცია დაბრუნდა. მოღის, იღლიაში ამოუდვია თავისი ძვირფასი განძი, სახე უღიმის, გული სიამოვნებით უთროთს, ხელები სიხარულისაგან უკანკალებს. მოღის და თან სანეტარო ფიქრებს გაუტაცნია: აი ხვალ დილით ჩაუტანს იგი საკაბეს მკერავ ქალს... ორ სამ დღეში კაბა მზათ იქნება, მკერავი მოწერებით მოუტანს მას, ელექცია კაბას ჩამოართმევს, ხეცდრ ფულს ჩაბარებს და ათრთოლებული ხელით შემიოტანს კაბას თავის თოახში. საჩქაროთ მოაზომებს, თუ როგორ დაადგება ტანზე, თუ როგორ დაშვერდება... და აი საღამოს შებინდებისა, ახალ მოღის კაბაში გამოწყვიბილი გაქროლდება ის სასეირნოთ ქალაქის ბალისკენ.

მაგრამ ელექცია ამ ნეტარებასთან ერთად რაღაც გამოურკვეველ, იღუმალ მწუხარებასაც გრძნობდა. მას ვერ აეხსნა, ამისი მიზეზი:

— „რა მემართება? რა არის, რომ გულის სილმეში რაღაც უსიამოვნებას ვვრძნობ?.. ეჭ, აღბათ ლუარსაბმი შემახებს საწყენს, — გაიკეთა გულ ელექცია, — დევ, რამდენიც უნდა იმდენი იბუზღულნოს! რას დავეძებ“! ამ ფიქრში მოხდენილათ აირ-

ბინა კიბე, შეაღო კარები, საჩქაროთ გადაიძრო. ქული, გაისწორა ომა, გახსნა თავის ძვირფასი განძი, ერთხელ კიდევ შეხედა, გაულიმა, ერთი კიდეც აკაცა, ისევ შეახვია და გულის ფანცქალით ჩაღვა თავის კომოდში. უჯრა დაკეტა და მეტი სიხარულისაგან დაქანცული იქვე ტახტზე დაეშვა. ელენემ დაწოლის შემდეგაც ვერ მოისვერა. ბოლოს როგორც იყო ჩაეძინა, მაგრამ აქ სიზმრებმა არ გაახარა. ვინ იცის რა არ ესიზმებოდა, რა არ ელანდებოდა, რას არ ხდავდა. გათენებისას მან ასეთი უცნაური სიზმარი ნახა: ის თითქოს ზის ალისფერ სინათლით გაბრწყინვებულ ოთახში, ტახტე აცვია რყის ფერიებისაგან მონაქსოვი ცის ლაქებიდის ფერი კაბა. კაბას აქა იქ ჩაქსოული აქვს რაღაც უწვეულო ძვირფასი ქვები, რომლებიც ვარსკვლავებივთ ციმციმებენ და თავის სანეტარო მომხიბვლელ შუქით ავსებენ ოთახს; ოთახში კი შემოკრებილან თოვლივით სპეტაკ ტანსაუმელში გამოწყობილნი ციურნი ასულნი. ფერიები ციურ ხმაზე გალობდენ და ღრმოვნებით ხელი-ხელ ჩაკიდებული დავლურს ულიან ელენეს ირგვლივ, შეხარიან და ულოცავენ მას ახალ კაბას. ელენეც არაჩეულებრივ სიხარულს განიცდის, სურს წამოდგეს, ჩაერიოს გათში, მათთან ერთად ცცემვავოს, მაგრამ ვერ ახერხებს, რაღაც უშლის, კიდეც რცხვნია; ბოლოს ის დასძლევს ამ სირცევილს, წამოდგება ზეზე, გაუშერს ხელს, რომ ჩაებას საერთო ფერხულში სამხიარულოთ, მაგრამ ოღნავ შექება თუ არა მისი კაბა ფერიებისას ოთახში უეცრათ დაბნელდება, ფერიები გაქრებიან, მთელ ოთახში რაღაც ყრუ გრევინგა გაისმის, ელენეს შიში შეიპყრობს; იგი უნდებურათ დახედავს თავის უცნაურ კაბას, მაგრამ ჰოი, საშინელებავ! კაბა სულ გაშავებულა, ძვირფასი ქვები საღლაც გამჭრალა, მათ აღილას კი თითქოს ცეცხლისაგან გამომშვარი ცალიერი აფგოლები დარჩენილა. ამის დანახვაზე ელენე ერთს საზარლოთ დაკივლებს... და გამოელეიძება.


უკვე გათენებულიყო. ახალ ამოსული მზე მხიარულათ ათაბაშებდა თავის სხივებს მის ფანჯარაზე. ელენე ჯერ კიდევ სიზმრიდან ვერ გამორკვეულიყო, მას ისევ თვალ წინ ედგა ნახული საზარელი სიზმარი და შეშინებულის თვალებით ათვალიერებდა ოთახს, მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, რომ მას მართლაც გამოლეიძებოდა და ის რაც ნა-

ხა ყველაფერი სიზმარი იყო, სიხარულის სხივმა გაუშექა სახეზე.

— „ღმერთო შენ გმადლობ, რომ სიზმარი იყო და არა ცხადი. — წარმოსთქვა მან და საჩქარო წმოდგა, ჩაიცვა ტანთ, ხელ-პირი დაიბანი. სახლში ერთი ხმაურობა ასტება: მეტის-შეტი სიჩქარისაგან ხან ერთ სკამს დაეჯახებოდა, ხან მეორეს, ხან მაგიდას წაებოროდა, ხან კარი, კარი კი ხრიშიანის ხმით მოჰყვებოდა გულშემზარავ ჭრიალს; ერთი სიტყვით მთელ სახლში ისეთი ხმაურობა იდგა, რომ მძინარე კი არა მღვიძებიც ვერ გაუძლებდა. ამ ურიაშულმა ლურასაბასაც დაუფრთხო ძილი. ის მოჰყვა რაღაც გაუგებარ და დაუსრულებელ ბუზლუნს, მაგრამ ელენეს ახლა მისთვის არ ეცალა. ის საჩქაროთ ეწყობოდა: „პულრს“ იცხებდა; თმას იქოჩირებდა, სარკეში წამ და უწუმს იცქირებოდა, ხან მარჯვინით გადახრებოდა, ხან მარცხნით... აი კიდეც გამოეწყო! წასავლელათაც მოემზადა! გულის ფანცქალით მიუახლოვდა თავის კომოდს, ათროლებული ხელით გადაატრიალია გასალები, გამოსწია უჯრა, ამოილო თავისი ძვირფასი განძი, გადაშალა და... ოჳ! რას ხედავს მისი დასაწევი თვალები?! საკაბე მთლათ... ახ მიკირს თქმა!.. საკაბე თითქმის მთლათ დაეხრა დაწყევლილ თავებს, რომლებიც ასე უხვათ გამრავლებულიყო ლურასაბის თოახში!

ელენეს თვალთ დაუბნელდა, სახე გაუფითრდა და დაენაოჭა, ტუჩები აუთროთოლდა, ხელები აუკან კალდა, გულმა საშინელი დაგა-დაუგი დაუწყო, ფეხები დაუსუსტდა, მუხლები მოექრა, დახრული საკაბე ხელიდან გაუშვა, მისუსტებული იქვე ჩაკეცა და გული წაუვიდა... მხოლოდ ნახევარ საათს შემდეგ მისულიერდა ელენე. და როდესაც ისევ თვალი გახილოდა და მოაგონდა საშინელი უბედურება მას წასკდა თვალთაგან ცხარე ცრემლები... ცრემლები, — ერთათ ერთი მისი მეგობარი და მანუელშებელი ცრემლები!

ლონგ. პოლბიპენკა.




## წერილი რედაქციისადმი

ბ-ნო ეშმაკი! გთხოვ ამ წერილს აღილი დაუთმოთ თქვენს უურნალში. თქვენ პატივუმულ უურნალის „ეშმ კის მათრაზ ს“ მე 32 ნომერში არის დაბეჭილი ჩემი გურული სცენა: „ჩემი ცოლი ბაზარზე.“ ეს სცენა თავის თავზე მიუღია ჩემს მძას, რადგანაც მას ცოლი ყველა ბაზმაროზე სააგარაკოთ. ამასთანავე შიგ მომქმედ პირათ გოგია მყავს გამოყვანილი, მისი სახელის მოზიარე. ყველა ამის გამო მას ეს სცენა ტეოლოგ თავის თავზე დაწერილათ უცნია და შეურაც-

ყოფილათ გრძოზს თავს, რასაც უდასტურებენ ჩენია სოფლის ზოგიერთა ჭარიკანა ჭალბატონები და ვაჟბატონები, ვალბალებ სტენბულ პირთა საყურადღებოთ, რომ ეს სცენა ჩყმ მმაზე არ დამიწერია და არც ერთი რომელიმე პიროვნება და მოვლენა მქონია სახეში, არამედ საზოგადო, საერთო, მოვლენა, რომელიც არც არავის არ შეურაცყოფს და არც ამიტობს, რასაც თქვენც დამიმოწერით პატივუმული რედაქტორო.

პატივისცემით: ლუკაიხ იმოლი.

## პახეთის რეინის გზაზე



შეზაფრი. რა ამბავია, მატარებელი რისთვის სდგას ამდენ ხანს? კონდუქტორი. არავერი ბატონ, მემანქანე წივილა ახლო სოფელში ჯვარის საწერათ. ორ-სამ საათში დაბრუნდება. ვითომ რა გვაჩქარებს!